საშუალებელ, დიდი ოქტ. არ გაიცვლების სხვაზედა...

ოლიმპი

1990
საშუალათი
23
ოქტომბერი
№127 (10364)

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

„დემოკრატიული საქართველოს" პოლიტიკური დეკლარაცია

საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული საქართველო" აერთიანებს შემდეგ პოლიტიკურ ორგანიზაციებს: ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას, თავისუფალ დემოკრატთა კავშირს, ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებას, არჩილ ჯორჯაძის საზოგადოებას, დემოკრატიულ სახალხო ფრონტს, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნულ პარტიას. ამათ გარდა ზოგიერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციასაც: მრეწველთა კავშირს, წმინდა დავით ადმაშენებლის საზოგადოებას, ხიმღერთა კულტურულ-საჭველმოქმედო კავშირს. „დემოკრატიული საქართველო" აერთიანებს აგრეთვე უპარტიო კანდიდატებს-კულტურის, მეცნიერებისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, რომლებთანაც თანამშრომლობის კარგი ტრადიცია უკვე საკმაო ხანია ჩამოყალიბდა.

(დასასრული მე-4 . გვერდზე)

გულახდილი დიალოგი ჩემს ამომრჩეველ-არამომრჩეველთან

ა ნ უ

რატომ ვამბობ უარს დეპუტატობის კანდიდატობაზე

ჩვენი ერი არაერთხელ მდგარა ისტორიული გამოცდის წინაშე! არჩევნების დღე—28 ოქტომბერი კარზეა მომდგარი, ქართველმა ხალხმა უნდა აირჩიოს თავისი წების გამომხატველი მრავალპარტიული, ზნეობრივ პრინციპებზე დაფუძნებული, ეროვნული პარლამენტი, რომელიც ჩვენს ტანჯულ ქვეყანას მოკლე დროში დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას მოუტანს; ტერიტორიულ მთლიანობას აღუდგენს; სახელმწიფო ენას, რელიგიასა და კულტურას აღორძინებს და, რაც მთავარია, საზოგადოებრიობას ადამიანური არსებობის გარანტს შეუქმნის.

სხვა, უფრო საოცნებო რამ ისტორიულად არ არსებულა და არც არსებობს ალბათ, დღევანდელ ქართველთათვის!

ამ მომავალი 250 პარლამენტარის გვარ-სახელი, თუ არ ვცდები, 2000-ზე მეტ კანდიდატებშია განთესილი და მათგან ღირსეულთა ამორჩევა ერთობ საშური საქმე გახლავთ.

იქნებ უადგილო შედარებაცაა, მაგრამ ამ მრავალრიცხვ პარტიათა სიებს რომ დავყურებ, მეშინია, ლატარიის ცხრილის ასოციაცია არ დაებადოს ამომრჩეველს, სადაც მინიმალური შანსი აქვს რაიმე „მოგებისა"... რა მაბედვინებს ამის თქმას? აშკარაა, სხვადასხვა ბლოკსა თუ პარტიულ სიებში, თითქოს ბნელში ნათელივით არიან ჩამდგარნიო, მეტნაკლებად, აქა-იქ ანათებენ ის საპატიო, საპარლამენტო ადამიანები, რომელთაც თავად ერი მართლაც უნდა ეხმოს ხვალინდელ საქართველოს!

მაგრამ ამოირჩევს კი და ერთ მოხოლითად შეკრავს მას—პარლამენტს შვიდი ათეული წელიწადი მოტყუებული, ლაბეჩავებული, ნაგვემი, დღეს თითქოს გამოღვიძებული, მაგრამ ისევ ჩვენივე უხიაგობით დამფრთხალი ქართველი ერის უმრავლესობა, აი, რა არის საფიქრალი!

იქნებ „ზედმეტად" მრავალპარტიული პარლამენტი გვაქვს, როგორც გვჩვევია ხოლმე, ქართულმა ხასიათმა იძალა და ეროვნული მოძრაობა დაიქსაქსა, რასაც მე პირადად დანაშაულად აც კი აღვიქვამ! არადა, ისე ჩანს, რამდენჯერაც ერთ ხელზე ჩამოსაჯღლელი ქართველობა შევკრებილვართ, იმდენ პარტიებად ჩამოყალიბებულვართ და სახვალიო სწორ არჩევანში უბრალო, გაეცნობიერებელი ხალხის დიდი ნაწილი კი არა, შეიძლება, „ზეიმეტად" გაცნობიერებულებიც კი შეცდნენ!

... კომუნისტური პარტია რა ჭირიცაა, როგორ გახრწნა ერი ზნეობრივად, კინაღამ მასიურად დამნაშავეებად ჩამოგვაყალიბა თითქოს თითოეულმა ქართველმა იცის, მაგრამ რად გინდა, როცა მას დაპირისპირებულმა ოპოზიციურ პარტიათა ერთმანეთის დაუფარავმა შეჯახებებმა, სამკედრო- საციოცხლო ბრძოლამ და არდანდობამ, შესაძლებელია, ამომრჩეველთა გარკვეულ ნაწილს კვლავ შეჩვეული ჭირი აირჩევინოს!

კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო... ისეა სოციალ-დემოკრატების საქმე, თითქოს მათ ხიწ-ლისზე (თუ კი ხინდისზე შეიძლება მათთან საუბარი) წიწამერის ტრაგედია არ იყოს!

ეროვნული მოძრაობის უპირველესი ნაკლი ალბათ ის არის, რომ ამ პარტიათა ერთმანეთის შეჯახებამ მშრომელი, პატიოსან ადამიანთა უმრავლესობა ერთბაშად დააბნია... სხვა შიში აქვთ ფუნქციონერებს, მეკრთამეტებლა ა. შ. არადა, მათი „უდიდესობა" ჩვენს სინამდვილეში არც ისე ცოტაა! ამბობენ ადრე ერთი პარტია მაინც გვყოლოდა, ახლა კი... ცილს ვერვის დავწამებ, არ ვიცი, რა ხდება სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში, სახალხო ფრონტში, წინ რეგიონალურ ორგანიზაციებში, თუნდაც საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებაში, რომლის გამგეობის წევრი ჯერ-ჯერობით მეცა ვარ (სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ხამეგრელოს სადროშიზე ყოველ წუთს შემიძლია ვაგო პასუხი) თუ სხვაგან, მაგრამ ყოველდღიურად ხალხს ცუდი ხმები როს ესმის, ეს აშკარაა!

ახლა, არჩევნებში არმონაწილე პარტიებს თუ გავიხსენებთ, არც იქ არის ამ საკითხში მოლად ლალაგებულად საქმე. თუნდაც სენაკში, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა რა „ხაგმირო" საქმეებიც ჩაიდინა, შარაგზის ყაჩაღებს არ უკადრებიათ თურმე. სხვაა შორის, როგორც ამბობენ, ამაგი დაუფასდა, თბილისშია მშვიდად და დაწინაურებულიცო!

საინტერესოა, რა ხდება საქართველოს ერთ-ერთ პროვინციაში, კერძოდ, ზუგდიდში, სადაც სხვა მრავალ კანდიდატთან ერთად მეც ვარ დასახელებული.

გავბედავ და ვიტყვი, მთელ საქართველოში დასახელებულ კანდიდატთა საკმაო ნაწილს ვცნობ, თუ პირადად არა—მათი მოღვაწეობით მაინც, ხოლო რაც შეეხება ჩემს მშობლიურ ქალაქში წარმოდგენილთ—უფრო ახლოს და მეტადაც! თამამად შეძიძლია ვთქვა, იმ 27 დასახელებული კანდიდატიდან, არაერთი ზნეობრივად მართალი და ჭეშმარიტი მამულიშვილი გახლავთ, აქ ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ იმ თითქმის სამი ათეული ადამიანიდან საბად სამს ვირჩევთ და იქნება თუ ორა ეს არჩევანი სწორი—აი, რა მაფიქრებს!

აქვე მინდა განვაცხადო: სრულიად ვეზიარებ ბლოკ „თავისუფლების" პროგრამას, კერძოდ, მასში შემავალი ლიბერალ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის მაღალზნეობრივი, გონიერული, ინტელექტუალური დონის უაღრესად მწამს და პირადად მე მადლობის მეტი რა მეთქვის როცა უპარტიო კაცს ნდობა და ერთგულება გამოიცხადა. სწორედ ამ ბლოკში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციების შერ არის შექმნილი უველა ის პროგრესული კანონები, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში მიიღო საქართველოს უმაღლესმა საბჭომ, მათ შორის, დღეს მოქმედი საარჩევნო კანონიც. ერთსაც დავძენ. ამ წერილის მერეც, თუ ვინმეს სურდა ჩემთვის ხმის მოცემა, ვთხოვ, ბლოკი „თავისუფლება" გაითვალისწინოს, რა თქმა უნდა, არა ჩემს გამო, არამედ საქართველოს სამომავლოდ!

მაინც რატომ ვამბობ უარს კანდიდატობაზე?

პირველი: თუ ჩემმა ერმა სწორად განსაჯა და იმ ზემოალნიშნული სხვადასხვა პარტიებიდან აირჩია ის ჭეშმარიტი 250 მამულიშვილი, გულწრფელად უნდა ვალიარო, აქ მე არაფერი მესაქმება!

ეს რაიმე თავმდაბლობით არ მომდის. უბრალოდ, შეიძლება პარლამენტს არ ვავნო, მაგრამ არც არაფერი შეეძინო, ჩემს სიჩლიქორცელულ საქმეს კი ვამოვრჩე.

მეორე: თუ ალლომ უდალატა ჩემს ერს, და ჩვენდა საუბედუროდ, არასწორად შეარჩია პარლამენტი, მაშინ, მით უმეტეს! უბრალო მიზეზისა გამო. ჩემი აქ ყოფნა ამინდს შეცვლის—მეთქი, ვერ დავიტრაბახებ.

მესამე: თუ ბატონ აკაკი ბაქრაძეს ძალ[illegible] თქვ[illegible] -ნე პრ[illegible] იყოსი არა ვარო. პირადად [illegible] და, თუ გნებავთ, სხვათა—თ[illegible] ჩემს [illegible] -ქალაქში [illegible] -ბილებულ ზოგიერთი კანდიდატის მაგივრადაც ლოყები სირცხვილისაგან მეფაკლება...

მეოთხე: ზოგიერთი კარგად ბაცნობი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის ცხოვრებაზ წესი და რიგი რომ ვიცი, ვის მეარ ზურგსაც არ იყოს იგი ამოფარებული, ვერც ადრე ვუ რიგდებოდი და ვერც აწი შევურიგდები. ან ვინ უნდა ენდოს ამ რაიონული მაშტაბის პოლიტიკურ „ოდვაწეს", რომელიც პარტიებსა და, რა თქმა უნდა, ალბათ მრწამსაც, სეზონურად იცვლის... რა უნდა ვიფიქრო: ხვალინდელი საქართველოს მომავალი კეთილდღეობაა მისთვის მთავარი, თუ მისი მომავალი კეთილდღეობა ხვალინდელ საქართველოში!

მეხუთე: მჯერა, მარტო ზნეობრიობა არ კმარა პოლიტიკოსისათვის, მაგრამ მთლად მისი (ზნეობრიობის) გამორიცხვა რომ იყო საჭირო, არ ვიცოდი, ერთი კია: ზოგიერთივით სხვათა შორის, არანაკლებ ბოლშევიკური მეთოდებით არ ვაპირებ ხმების მოპოვებას. და თუ ამჯერად შეგნებულად ვაბუნდოვანებ ჩემს სათქმელს, რა თქმა უნდა, დროებით, მათი „უმაღლესობის" გვარ-სახელისა და საქმიანობის გამოცხადებას სამომავლოდ არ მოვერიდები.

მეექვსე: იქნებ ამ წერილმაც ჩააფიქროს მავანი კანდიდატი და გაუჩნდეს სურვილი თავისი კანდიდატურის მოხსნისა, რაც, დამეთანხმებით, არც ისე პატარა საქმეა.

და ბოლოს. მეშვიდე: მე, როგორც შემოქმედ კაცს, ხშირად ჩვიდმეტი წლის უმაწვილივით ხან ვარდისფრად, ხან შელნისფრად მეჩვენება ქვეყნიერება. მაგრამ... მაგრამ, როცა უხეფავ ჩემს ქვეყანას უპირს, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას, მაშინ ჩემი დაწყლილი ხელობის წყალობით, იმ ნაგაზს უფრო ბინდა ვგავდე, ფარეხში დასაბინავებლად ძირულ ფარას მგლებისგან რომ იცავს, მაგრამ შიგ-შიგ ცხვრებსაც ულრენს: არ ვიფანტოთ... სიმწყობრე არ დაგერღვეთო!

ამრიგად, ერი ისტორიული გამოცდის წინაშე დგას! იმედი ვიქონიოთ, ყველაფერი კარგად, ანუ საქართველოს სამომავლოდ გადაწყდება!

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე ღმეფარველი!

ზაურ ძალანდია.

ეროვნული საარჩევნო ბიულეტენი

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

რეგისტრირებულნი არიან ქალაქის №92 საარჩევნო ოლქში

ტაბალუა ქეთევან ვენექტერის ასული

დაიბადა 1954 წლის 1 აპრილს.

1971 წელს დაამთავრა ზუგდიდის №-5 საშუალო სკოლა წარჩინებით. იმავე წელსვე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე, რომელიც აგრეთვე დაამთავრა წარჩინებით. პარალელურად სწავლობდა აგრეთვე ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე კინოდრამატურგიის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1978 წელს.

სხვადასხვა დროს მუშაობდა რუხისა და ინგირის მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორად, ტყვარჩელის 1-ლი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ამჟამად გაზეთ „ოდიშის" მშრომელთა წერილების განყოფილების გამგეა.

ავტორია როგორც პუბლიცისტური, ასევე მხატვრული ნაწარმოებებისა.

1988 წლიდან არის ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრი, მონაწილეობდა ეროვნულ აქციებში, 1989 წელს ზუგდიდში გამართული საპროტესტო აქციის ორგანიზაციაში წონაწილეობისათვის დააკრავეს, შემდგომ დააჯარიმეს.

კალანდია მაია ნაპოს ასული

დაიბადა 1964 წლის 7 ივნისს სოფელ დარჩელში.

1981 წელს დაამთავრა დარჩელის საშუალო სკოლა.

1982 წლიდან მუშაობს ზუგდიდის რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ამჟამად მომსახურების განყოფილების გამგეა.

1985 წელს ჩაბარა (დაუსწრებლად), თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობა —ბიბლიოგრაფიის სპეციალობაზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1990 წელს.

1990 წლის იანვრიდან სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარეა.

ყავს მეუღლე და ორი შვილი

წინასაარჩევნო პროგრამა:

ახლადარჩეულმა პარლამენტმა უნდა გაანაბორციელოს საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის გარდამავალი პერიოდის გარდაქმნები. მომზადდეს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინაპირობები, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების თავიდან აცილებისათვის.

უნდა შეიქმნას ქვეყნის თავდაცვის საფუძვლები, ჩამოყალიბდეს ეროვნული არმია სათანადო ტექნიკური აღჭურვილობით.

თავისუფალ შრომასა და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დაყრდნობით ჩამოვთარდეს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პერსპექტიული დარგები. საკუთრების სხვადასხვა, სათანადო სიტუაციას მორგებული ფორმების დამკვიდრება (მათ შორის—კერძოს, კოოპერატიულის, შერეულის...). მიწის გლეხებისათვის გადაცემა სამუდამო სარგებლობაში.

ზრუნვა ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ჩაის, როგორც ქართველი ხალხის გენოფონდის ერთერთი საშუალების შეცვლა სხვა ნაკლებ შრომატევადი და უფრო მომგებიანი კულტურებით. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გეგმა-ზომიერი განვითარება.

ზრუნვა საქართველოს კოსმოსტროფამდე მისული ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის, მიწის, წყლის, ჰაერის სანიტარიული ნარჩენებით გაჭუჭყიანებისაგან დაცვა.

ზრუნვა პიროვნების სრული თავისუფლებისათვის, მისი უფლებების დაცვისათვის, გამთავისუფლებელ ბრძოლაში ზნეობრივად გამართლებული მეთოდების დამკვიდრებისათვის.

ყველა დემოკრატიულ ძალთა გაერთიანება და თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნის როგორც დემოკრატიულ, ასევე ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობასთან.

წინასაარჩევნო პროგრამა:

სამოცდაათწლიანმა წითელმა ბორკილებმა საქართველო სიკვდილის მიჯნაზე მიიყვანა.

ქართველი ერი დღეს არჩევანის წინაშე დგას: მონობა ან თავისუფლება.

„აწ, დო, შენთა ხელთაა ჩემი სახელი ყელისა,
სხვად ულონოა უშენოდ ჩემი აპყრობა ხელისა;
რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა,
თვარა ვისმც ექმნა გვარლითა შეკვრა თავისა მრთელისა?"

ქართველო ხალხო—საქართველოს მომავლის ყელის სიბეჭდე, თქვენს ხელთ არის; მხოლოდ არჩევნების წინ მინდა მიგმართოთ ჩემს ხალხს იმ სიტყვებით, რა სიტყვებითაც მიმართავს ავთანდილი ასმათს „ვეფხისტყაოსანში", როცა მიზნის მისაღწევად სხვა გზა აღარ დარჩენია:

ქრისტიანულ არჩევანს შეუძლია საქართველოს გათავისუფლება.

წინასაარჩევნო პროგრამა:

რეგისტრირებულია რუხის № 98
საარჩევნო ოლქში

გუნავა გურამ იოსების ძე

დაბადებულ 1939 წლის 17 დეკემბერს, ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხში, გლეხის ოჯახში.

1957 წელს დაამთავრე რუხის საშუალო სკოლა და სწავლა გაგრძელე ხაქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრე 1964 წელს. 1957-1961 წლებში ვმუშაობდი რუხის კოლმეურნეობაში კოლმეურნედ. 1961 წელს ამირჩიეს კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივნად, 1962 წელს კომკავშირის ზუგდიდის სასოფლო-საწარმოო კომიტეტის მდივნის მოადგილედ, ხოლო 1964 წლიდან ამავე კომიტეტის მდივნად. 1966 წელს ამირჩიეს ეწგურჩეხის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ, ხოლო 1970 წელს ამავე კომიტეტის მდივნად. 1973-1975 წლებში ვიყავი საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი, ხოლო 1975-1977 წლებში ამავე რაიკომის მეორე მდივანი. 1977 წლის ივნისში ამირჩიეს ერთ-ერთ მაღალმთიანი რაიონის—ლენტეხის პარტიის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად, სადაც ვიმუშავე 1984 წლის 12 დეკემბრამდე, ხოლო 1984 წლის დეკემბერში ამირჩიეს საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველ მდივნად. 1990 წლის მარტში საქართველოს კპ ზუგდიდის საქალაქო და რაიონული კომიტეტების გაერთიანებასთან დაკავშირებით ამირჩიეს და ვმუშაობ ამჟამად საქართველოს კპ ზუგდიდის გაერთიანებული საქალაქო და რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად, ამასთან 1990 წლის მაისიდან არჩეული ვარ სახალხო დეპუტატთა ზუგდიდის საქალაქო და რაიონული საბჭოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

ვარ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, დაჯილდოებული ვარ შრომის წითელი დროშის ორდენით და საპატიო ნიშნის ორდენით.

ყავს მეუღლე და ორი შვილი.

წინასაარჩევნო პროგრამა:

უპირველეს და უმთავრეს მიზნად მიმაჩნია საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ამასთან საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის, სხვა სახელმწიფოებთან მისი ურთიერთობის ხასიათისა და ფორმების განსაზღვრა უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ხალხის ნების სრული გათვალისწინებით (რეფერენდუმით). აქედან გამომდინარე:

—ყოველმხრივ შევუწყობ ხელს საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავებას და მიღებას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. ეროვნული საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბებას, დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის სისტემის შექმნას.

ჩემი ყოველდღიური საზრუნავი იქნება:

1. სოციალური საკითხების რეალურად გადაწყვეტა, სკოლამდელი, სასკოლო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამედიცინო და წესებულებების შშენებლობათა გაფართოება. მაგისტრალური და შიდასამომხმარებლო გზების კეთილმოწყობა. მომსახურების სფეროს მუშაობის ძირეულად გაუმჯობესება;

2. მიწის ფონდის ეფექტურად და ინტენსიურად გამოყენება, რაც მთავარია ხალხის გამგებლობაში მაქსიმალურად გადაცემა, მიწა უნდა ჰქონდეს ყველა იმათ, ვინც მას ამუშავებს, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ ყველა კატეგორიას, ახალმოსახლეებს, პედაგოგებს, ექიმებს, მომსახურების სფეროს მუშაკებს;

3. დემოკრატიის და საჯაროობის სრულ გაფართოებასთან ერთად დისციპლინის, წესრიგის განმტკიცება. ვინაიდან არ არსებობს დემოკრატია, თუ მას არ ახლავს მტკიცე დისციპლინა, უდიდესი პასუხისმგებლობა. სიხლის სამართლის დანაშაულობათა წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა, კანონების მოქმედებაში მოყვანა, ამის გარეშე არავითარი აზრი არა აქვს თვით დამოუკიდებლობასაც კი.

4. ყოველნაირად შევუწყობ ხელს იმას, რომ სრულიად გარდაიქმნას ქალაქისა და რაიონის ეკონომიკა, მოხდეს პრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სრულყოფილი ჰარმონიული შერწყმა, ეცხოვრის მოწინავე ფირმებთან ნელშეკრულებების დადება, ერთობლივი საწარმოების შექმნა.

ყველაფერს გიღონებ იმისათვის, რომ ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ მიიღოს ერის თავისუფალი სულიერი განვითარების მაქსიმალურად ხელშეწყობი საკანონმდებლო აქტები, ვიბრძოლებ მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის, რათა მძლავრი იმპულსი მიეცეს საქართველოში განათლების, მეცნიერების და კულტურის შემდგომ ამაღლებას.

დაკვირვებებით ფონს ვერ გავალთ

დიდი პასუხისმგებლობა, კონკრეტული საქმეების კეთების მისია აკისრიათ ქუჩათა კომიტეტებს, მაგრამ მათი ავტორიტეტი მოსახლეობას შორის ძალზე დაბალია.

საქალაქო საბჭოსთან ფუნქციონირებს 56 ქუჩის კომიტეტი. მათი ავტორიტეტი დამოკიდებულია აღმასკომის მოქნილ მუშაობაზე, ასევე პირიქით—აღმასკომის ავტორიტეტი ჩვენზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, ასეთი ურთიერთთანამშრომლობის ჯანსაღი სიმი ჩვენს შორის არაა გაბმული.

ჩვენ, ქალაქის ქუჩათა კომიტეტებმა გადავწყვიტეთ უზენაესი საბჭოს არჩევნების შემდეგ მოვაწყოთ საერთო-საგანგებო კრება ქალაქის ხელმძღვანელობისა და ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით. ამ კრებაზე ჩვენ დავაყენებთ ქუჩის კომიტეტებსა და აღმასკომს შორის ურთიერთმოქმედების საფუძვლიანად არსებული ვითარების რადიკალურად გარდაქმნის აუცილებლობის საკითხსა და სხვა პრობლემებს. საბოლოოდ უნდა გაირკვეს: ქუჩათა კომიტეტები ხალხს უნდა ემსახურებოდეს თუ ბიუროკრატიულ აპარატს.

ზოთა ჯიჯია,
კობახიძის ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

რეგისტრირებულნი არიან №98 რუხის საარჩევნო ოლქში

ფურღალია ვალტერ გრიგოლის ძე

დაბადებულ 1944 წლის 20 მაისს, ვსწავლობდი ქ. ზუგდიდის მე-6 საშუალო სკოლაში. მე-9 კლასში ყოფნისას, 1960 წლის დასაწყისში, მეგობრებთან ერთად ჩამოვაყალიბე „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაცია".

1961 წლის თებერვლის ბოლოს გავავრცელეთ პროკლამაციები საქართველოს დამოუკიდებლობის მოწოდებით თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთსა და სენაკში ერთდროულად.

1961 წლის ნოემბერში დაგვიპატიმრეს. ოთხმა პიროვნებამ მიიღო სასჯელი 1 წლიდან 4 წლამდე. მე, როგორც არასრულწლოვანმა, მოვიხადე ერთწლიანი პატიმრობა.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ განვიცდიდი დევნასა და შევიწროებას. უმაღლესი განათლების მიღების საშუალება არ მომეცა. ბოლო თორმეტი წლის მანძილზე ვმუშაობდი ტროლეიბუსის მძღოლად ქ. თბილისში. ვარ საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი.

ანთელავა ნუგზარ კონსტანტინეს ძე



დაბადებულ 1958 წელს ქ. ზუგდიდში. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი, ასპირანტურა. —ეთნოგრაფიის სპეციალობით. არის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ხალხური ხელოვნების ძიებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე.

ანთელავა იკვლევს საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის საკითხებს, ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობისა და თეორიული მუზეოლოგიის პრობლემებს. მან წამოაყენა საქართველოში ახალი ტიპის ეკოკულტურული ობიექტების —ეკომუზეუმის (ტოტალური მუზეუმი) შექმნის იდეა და დაამუშავა მეთოდოლოგიური საფუძვლები.

ანთელავა ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმულია 1978 წლიდან. არის ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის წევრი, პარტიის გაზეთის „ერი და თავისუფლება"—რედაქტორი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

მისი წინასაარჩევნო პროგრამა ხლოკ „თავისუფლების" პლატფორმიდან გამომდინარეობს.

წინასაარჩევნო პროგრამა:

1. მზად ვარ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში გავწირო ყოველივე პირადი, მათ შორის სიცოცხლე.

2. საქართველოს ბედნიერ მომავალს ქართველი ხალხის ერთიანობასა და ერთსულოვნებაში ვხედავ.

3. თავისუფალი საქართველოს ყველა მოქალაქეს, მიუხედავად რელიგიისა და ეროვნებისა, ექნება თანაბარი უფლება-მოვალეობანი.

4. საქართველოს სულიერი ერთიანობის საფუძვლად ყოველი ქართველის მაღალი ზნეობა მიმაჩნია.

5. თავისუფალ საქართველოში ვარ საპრეზიდენტო მმართველობის მომხრე.

6. საქართველოს პრეზიდენტს სამოქმედო არე განისაზღვრება თავისუფალი საქართველოს ახალი კონსტიტუციით.

7. კონსტიტუციის მიღება უნდა მოხდეს მხოლოდ საერთო სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე.

8. ვარ საკუთრების წაირსახეობის მომხრე (კერძო, სახელმწიფო, შერეული და ა. შ.) მიწა უნდა გადავიდეს კერძო საკუთრებაში, უფასოდ. მოსავლის სახეობის შერჩევა და გახალება მხოლოდ გლეხის პირადი საქმეა.

9. საშსახური ჭართველ ეროვნულ არმიაში უნდა იყოს ღირსების საქმე. მომავალში მომხრე ვარ ფასიანი საშსახურისა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

10. შეიქმნება თავისუფალი ხაქართველოს უშიშროების კომიტეტი და ეროვნული პოლიცია, რომელთა უწმინდესი მოვალეობა ღმერთისა და საქართველოს წინაშე იქნება სახალხო უშიშროებისა და სოციალური უფლებების დაცვა.

11. უნდა შეიცვალოს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის პრინციპი. უნდა გათანაბრდეს პროკურორისა და ადვოკატის უფლებები, რომელიც საბჭოთა წყობილების პირობებში მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

12. განათლების სისტემაში და სამედიცინო მომსახურებაზ სფეროში მომხრე ვარ შერეული სისტემისა (ფასიანი და უფასო). საერთოდ, მიმაჩნია, რომ ანექსირებულ საქართველოში შრომის ანაზღაურება მათხოვრულ დონეზე დგას.

13. დიდი ყურადღება მიექცევა ეკოლოგიას.

14. სურვილი მაქვს თავისუფალ საქართველოს დაერქვას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

კილასონია რუსლან მიხეილის ძე

დაბადებულ ქალაქ ზუგდიდში 1952 წლის 19 აპრილს, მუშის ოჯახში. 1970 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დავამთავრე 1975 წელს. იმავე წელს მუშაობა დავიწყე ფაიფურის ქარხანაში შრომისა და ხელფასის განყოფილების ინჟინერ-ნორმადარად. 1976 წლიდან ვმუშაობდი უფროს ინჟინერად, 1977 წლიდან საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსად; 1980 წლიდან ქარხნის მთავარ ეკონომისტად; 1982 წლიდან დღემდე ვმუშაობ ფაიფურის ქარხნის დირექტორის მოადგილედ ეკონომიკისა და კომერციის დარგში.

ვიყავი სკკპ წევრი 1979 წლიდან, საიდანაც საკუთარი გაწცხადების საფუძველზე გამოვედი მიმდინარე წელს.

ვარ საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი 1989 წლის 26 მაისიდან, არჩეული ვიყავი საქართველოს სახალხო ფრონტის პირველ და მეორე ყრილობებზ დელეგატად. ვარ საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი, სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონალური გამგეობის წევრი. ვარ ცოლშვილიანი. მყავს სამი ვაჟიშვილი, რომლებიც სწავლობენ მე-10, მე-11 და პირველ კლასებში.

წინასაარჩევნო პროგრამა:

—მიმაჩნია, რომ საქართველოს არსებობის ერთადერთი ფორმაა საქართველოს სრული სუვერენიტეტი.

—მიმაჩნია, რომ საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის უპირველესი ამოცანაა გამოიყვანოს საქართველო კაბალური, უუფლებო მდგომარეობიდან, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით დაუპირისპირდეს საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული ინტერესების შემლახველ მდგომარეობას.

—ვარ მომხრე ბრძოლის მშვიდობიანი ფორმების, იურიდიული, მორალური ბრძოლის გზა მიმაჩნია საქართველოს დამოუკიდებელი, სახელმწიფოებრიობის აღდგენის ყველაზე გონივრულ გზად.

ხალხთა ჯეშმარიტი მეგობრობა მიმაჩნია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვების ერთ-ერთ პირობად.

—უარვყოფ ცენტრის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკის აღდგენის ე. წ. „საბაზრო ეკონომიკის" გზას საქართველოსათვის. ვგმობ ყოველგვარ ზემოდან ან ძალით თავსმოხვეულ პოლიტიკას. მიმაჩნია, რომ საქართველოს განვითარება უნდა წავიდეს საკუთარი გზით, რომელიც კერძოდ, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ იქნება შემუშავებული და შეხამებული იქნება ქართველი კაცის ტრადიციასთან, საქართველოს ინტერესებთან.

—მხარს ვუჭერ თავისუფალ მეწარმეობას, საკუთრების ყველა ფორმის განვითარებას, ამასთან საქართველოს უზენაესი საბჭო უნდა არეგულირებდეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენება. ბუნებრივი სიმდიდრეები უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო საკუთრებად.

—მიმაჩნია, რომ შესაძლებელია საქართველოს ეკონომიკის მართვა ისე, რომ არ იქნეს დაშვებული უმუშევრობა, სიღარიბე, ქურდობა, მეკრთამეობა.

—მიმაჩნია, რომ სასწრაფოდ უნდა დაკმაყოფილდეს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნა და დაურიგდეთ მათ საკარმიდამო და სამოსახლო ნაკვეთები.

—მიმაჩნია, რომ სოფლის მოსახლეობიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა სახელმწიფოს მიერ უნდა მოხდეს მხოლოდ შეთანხმებული ფასებით.

—მშრომელ კაცზე ზრუნვა მიმაჩნია უზენაესი საბჭოს გადაუდებელ ამოცანად. აქედან გამომდინარე უნდა გაუქმდეს სსრკ კავშირის კანონების იურისდიქცია საქართველოს ტერიტორიაზე და შემუშავდეს ეკონომიკის მართვის ისეთი კანონები, რომლებიც სტიმულს მისცემენ მაღალნაყოფიერ პატიოსან შრომას.

—ღრმად მწამს, რომ საქართველო უახლოეს პერიოდში მიაღწევს სრულ, რეალურ სუვერენიტეტს.

თოლორაია ზვიად ჰამლეტის ძე

დაბადებულ 1952 წელს ქ. ზუგდიდში, 1969 წელს დავამთავრე ქ. ზუგდიდის მეოთხე საშუალო სკოლა. 1977 წელს კუიბიშევის სამედიცინო ინსტიტუტი. 1984 წელს დავამთავრე კლინიკური ორდინატურა მოსკოვში. 1981 წლიდან ვმუშაობ ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექიმად. ვარ უცოლშვილო, რუსთაველის საზოგადოების წევრი 1990 წლიდან.

წინასაარჩევნო პროგრამა:

1. თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო.

2. საკანონმდებლო ხელისუფლების —პარლამენტის პრიორიტეტი.

3. ადამიანი თავისუფალია მაშინ, როცა იგი ემორჩილება მხოლოდ კანონს.

4. პრესისა და სიტყვის თავისუფლება.

5. ყველა ხელმძღვანელი მუშაკის დემოკრატიული არჩევა.

6. უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების უშუალო დაქვემდებარება პარლამენტისადმი.

5. სამართალდაცვითი ორგანოების ეფექტური სისტემა;

6. ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა.

—გარდამავალ პერიოდში საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული პრობლემების ეტაპობრივი გადაწყვეტა;

—გლეხობისათვის მიწის კერძო საკუთრებაში დაუყოვნებლივ გადაცემა მეცნიერულად დასაბუთებული აგრარული რეფორმისა და სამართლიანობის საფუძველზე;

—სოფლის რეალური თვითმმართველობის დაკანონება, რათა სოფელი და მხოლოდ სოფლის მკვიდრნი იყვნენ საკუთარი თავის გამგებელნი;

—ეროვნული თანხმობა და მშვიდობა საქართველოში, საერთო კავკასიური სახლის შექმნა. შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამეგობრობის ჩამოყალიბება.

„დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური დეკლარაცია

(დასასრული)

„დემოკრატიული საქართველოს“ უმთავრესი მიზანია საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების ჩამოყალიბება.

„დემოკრატიული საქართველოს“ აუცილებლად მიიჩნია გაცხადებულ იქნას სიმართლე საქართველოს ობიექტური მდგომარეობის შესახებ: საქართველო არის დაპყრობილი, ოკუპირებული, ანექსირებული ქვეყანა და საქართველოს მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ არის შეყვანილი სსრ კავშირში.

„დემოკრატიული საქართველო“ თვლის: ვინაიდან საქართველოს უზენაესი სახეა ფაქტობრივადაც და იურიდიულადაც არ არის საქართველოს უზენაესი გამგებელი, არამედ იგი სსრკ ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული ოვითმმართველობის ორგანოა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის პოლიტიკური ნებით შეზღუდული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანოს —ეროვნული კონგრესის თანაარსებობა. უზენაესი სახეს და ეროვნული კონგრესის ერთობლივი, კოორდინირებული მოქმედება ხელს შეუწყობს ვითარების სტაბილიზებას, დაჩქარებს საქართველოს დეოკუპაციასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

„დემოკრატიული საქართველო“ კატეგორიული წინააღმდეგია იმპერიის არსებობის გამახანგრძლივებელი ნებისმიერი სამოკავშირეო თუ სხვა ხელშეკრულებისა.

„დემოკრატიულ საქართველოს“ შეუძლებლად მიაჩნია კომუნისტური რეჟიმის გარდაქმნა. მან უნდა შეწყვიტოს არსებობა. მიუხედავად ამისა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებიდან გამომდინარე ვაწარმოებთ მოლაპარაკებას მათთან, ვისაც ხელთ უპყრია ძალაუფლება, მაგრამ არ მივიღებთ არანაირ შეთანხმებას, რომელიც კომუნისტური რეჟიმის გადარჩენას შეუწყობს ხელს.

„დემოკრატიული საქართველო“ წინააღმდეგია დიქტატურის ყველანაირი ფორმისა. ჩვენ წინ აღვუდგებით არა მარტო დიქტატურას, რომლის ძალაუფლების საფუძველია არმია და პოლიტიკური პოლიცია, არამედ იმ დიქტატურასაც, რომლის ძალაუფლება დაეყრდნობა პოპულიზმსა და დემაგოგიას, ხალხის თუნდაც მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერას.

„დემოკრატიული საქართველო“ სოლიდარულია საქართველოს გარეთ მცხოვრები თანამემამულეებისა და გრძნობს პასუხისმგებლობას მათი ბედისადმი. საქართველოდან გადახვეწილ თამემამულეებსა და მათ შთამომავლებს უნდა შეექმნათ შესაფერისი პირობები სამშობლოში დასაბრუნებლად. ვესწრაფვით რა კეთილ ურთიერთობებს მეზობელ სახელმწიფოებთან, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო საზღვრებმა დაბრკოლება არ უნდა შეუქმნას ქართველთა ეროვნულ და კულტურულ ერთიანობას. ჩვენ ხელს შეგუწყობთ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა უფლებების განხორციელებას, ენის, კულტურისა და ტრადიციების თავისუფალ განვითარებას.

„დემოკრატიული საქართველო“ თვლის: დამოუკიდებელ საქართველოში ქართველი ხალხი თავისუფალი იქნება იმდენად, რამდენადაც თავისუფალი იქნებიან ეროვნული უმცირესობები. ასევე, ეროვნული უმცირესობები თავისუფალნი იქნებიან იმდენად, რამდენადაც თავისუფალი იქნება ქართველი ხალხი. აქედან გამომდინარე მთელი მოსახლეობის თავისუფლებისათვის ბრძოლა, თანამშრომლობა და თანადგომა მიგვაჩნია არა მარტო შესაძლებლად, არამედ აუცილებლადაც. ჩვენ ვკისრულობთ ზნეობრივ ვალდებულებას ხმა აღვიმაღლოთ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დასაცავად. ჩვენ ვიცავთ ქართულ დემოკრატიასა და საქართველოს თავისუფლებას, როდესაც ვკიცხავთ ეროვნული უმცირესობების წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ უსამართლობას.

„დემოკრატიული საქართველო“ მხარს უჭერს სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობას. უნდა გაუქმდეს რელიგიურ ინსტიტუტებზე მეთვალყურეობის ნებისმიერი ფორმა. ჩვენ ვიცავთ მრწამსის თავისუფლებას, პიროვნებისა და თემის რელიგიური ადათ-წესების ხელშეუხებლობას. მხარს ვუჭერთ რელიგიური განათლების თავისუფლებას.

„დემოკრატიული საქართველო“ ამკვიდრებს შემწყნარებლობას პოლიტიკაში, კულტურაში, განათლებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. საზოგადოებას ახასიათებს შეხედულებებისა და ცხოვრების წესის დიდი მრავალფეროვნება. სახელმწიფოს არა აქვს უფლება თავს მოახვიოს მოქალაქეებს რომელიმე მათგანი, მაგრამ თავად მოქალაქეებიც ვალდებულნი არიან პატივი სცენ ამ მრავალფეროვნებას. ჩვენ წინ აღვუდგებით ამ მრავალფეროვნების პლურალიზმის ხელყოფის ნებისმიერ ცდას.

„დემოკრატიული საქართველო“ იბრძვის თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის დასამკვიდრებლად. საქართველოს მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა შეუძლებელია შეზღუდული რეფორმებით. სახელმწიფო საკუთრებასა და ცენტრალიზებულ მართვაზე დაფუძნებული ეკონომიკა უკუგდებულ უნდა იქნას როგორც უფარგისი. ჩვენ ვადიარებთ საკუთრების მრავალფეროვნებას, ადამიანის უფლებას დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად ფლობდეს წარმოების საშუალებებს. ჩვენ წინ აღვუდგებით ეკონომიკაში ნებისმიერ მონოპოლიას, არც სახელმწიფოს, არც რომელიმე კონცერნს, კორპორაციას თუ სხვა გაერთიანებას არ უნდა ჰქონდეს უფლება თავისი პირობები მოახვიოს თავს მომხმარებელს. ეკონომიკა უნდა დაეფუძნოს თავისუფალი შრომის პრინციპს. ჩვენ მიგვაჩნია, რაც უფრო მდიდარია ითითოეული მოქალაქე, მით უფრო მდიდარი და ძლიერია ქვეყანა. მხოლოდ თავისუფალი შრომისა და თავისუფალი კონკურენციის პირობები უქმნის ადამიანს შესაძლებლობას გამოავლინოს მთელი ნიჭი და შრომისუნარიანობა, უზრუნველყოს როგორც საკუთარი, ისე ქვეყნის კეთილდღეობა.

„დემოკრატიული საქართველო“ იბრძვის მსოფლიო სამეურნეო კავშირებში საქართველოს ეკონომიკის თანმიმდევრული ჩართვისათვის. შემდგომი იზოლაცია შემდგომ დაცემამდე მიგვიყვანს. საქართველოს ეკონომიკის კრახის ერთ-ერთი მიზეზია მისი მსოფლიო ბაზრისაგან ხელოვნურად მოწყვეტა.

„დემოკრატიული საქართველო“ იბრძვის საქართველოს თავისუფალი სამყაროს წიაღში დასაბრუნებლად. საქართველო ევროპული ცივილიზაციისაგან იძულებით მოწყვეტილი და იზოლირებული ნაწილია. საქართველოს პროგრესული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი ისტორიული გზის აღდგენით. საქართველოს გზა— ევროპული გზაა.

„დემოკრატიული საქართველოს მიზანია ჯანსაღი საქართველო. ჩვენ ვიბრძვით ქვეყნისათვის, სადაც არც სახელმწიფოს, არც არავის სხვას ექნება უფლება ზიანი მიაყენოს ბუნებრივ გარემოს. განვითარება უნდა გაიზომოს არა სარგებლით, არამედ ცხოვრების ხარისხით, ბუნების სიმრთელით, ხალხების თავისუფლებით, კულტურული სიმდიდრით.

„დემოკრატიული საქართველო“ თანამშრომლობს ყველა პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც დაინტერესებულია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით, დემოკრატიითა და პიროვნების თავისუფლებით, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებით, ეროვნული და სოციალური მშვიდობის დამყარებით, პატივს სცემს ყველას, ვინც იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

„დემოკრატიული საქართველო“ თავის მოკავშირედ განიხილავს სსრ კავშირის ყველა ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობას. მზად არის მათთან თანამშრომლობისა და კოორდინაციისათვის. დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში არის დიდი ევროპული დემოკრატიის ნაწილი. იგი ღირსეულად წარმოადგენს მსოფლიო დემოკრატიას კავკასიაში.

„დემოკრატიული საქართველო“ მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კავკასიის სტაბილური განვითარებისათვის ზრუნვას. მშვიდობიანი და ინტეგრირებული კავკასია, ევრაზიის გეოპოლიტიკური გზაჯვარედინი, ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საერთო ევროპული სახლის იდეის წარმატებით ხორცშესხმას, წინა აზიაში დემოკრატიისა და მშვიდობის დამკვიდრებას და იქნება საიმედო გარანტი კავკასიის ხალხებს სუვერენიტეტის დაცვისა.

ჩვენი მიზანია თავისუფალი საქართველო!

ჩვენი ბრძოლა ამ მიზნისათვის თანმიმდევრული და უკომპრომისოა!

რწმენა ჩვენი ხალხის გამარჯვებისა ურყევია!

რედაქტორის მოადგილე
ზ. ცხონდია.

მეუღლე ჯოტო. შვილები: ჯუმბერი, ჯიმშერი. რევაზი. ციალა. და ლილი. რძლები ნათელა. მზია. აზა. სიძე ვახტანგ ფილაია, შვილიშვილები ლალი. ლელა. თეა. ანა. შორენა. ანა. მანუჩარი, ნანა. ბესიკი. დათა. ნათა ჭურღულიები, მამუკა. შოთიკო. მაია ფილიპები, მამიდა სანა ხუბუა. მეულები ზინა, ეთერი. დისშვილები: ლიანა, ლონდერი, მზევარი, ია ყვარაცხელიები. მეულიშვილები ზაური, ჯემალი, არდაშელი. როზა. თინა ხუბუები. მამიდაშვილები: იაშა, ბონდო, ლიდა მხეიძეები. ნუგზარი კორკელია, ლიარა. ნორა მოსიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შურა ალექსანდრეს ასული ხუბუა-ჭურღულია.

პანაშვიდი 25, 26 ოქტომბერს. დაკრძალვა 27 ოქტომბერს სოფელ კახათში.

მეუღლე ფაცუ, შვილი ასმათი, და რაისა, ძმისშვილები ლენტერი. ვარდიშა. თალიკო. მზევინარი. იგორი, თემური კუკავები, ღისშვილი ვახტანგ ლატარია, ძმაღლი მერი გვასალია, სიძე ავთანდილ კობახიძე, ცოლისძმები: ხუხუტი. აპალონი. ჟორჟი. კარლო, ლერი შამუგიები ოჯახებით, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სოგრატი დივანის ძე კუკავა.

პანაშვიდი 24, 25, 26 ოქტომბერს. დაკრძალვა 27 ოქტომბერს ოჯისკურ. (ხობის რაიონი).

დედა ირა. მამა ჯემალი. დები ნანა. ნონა. ბებიები შუშა ქარჩავა. ბებუცა მორგოშია. მამიდები ნუნუ. მზევი. ბიძა ჯემალი ხარჩილავა. მამიდაშვილები ქეთო. ნინო, მამუკა დარასელიები, სიძე მურთაზ გვილია და ახლო ნათესავები იუწყებიან

ანა ჯემალის ასულ მატუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება ენგელსის ქ. 92-დან 16 საათზე.

მეუღლე მანია, შვილები: გულიადა, ქეთინო, ილარიონ, ძმა კოკო, დები ქსენია, ვერა, თალიკო. ნათელა, სიდედრი ვერა ხუფენია. რძლები: ეთერ ბუკია, მიმოზა გელენავა. მაგული პაიჭაშვილი. რუსიკო ბაგათელია. ძმისშვილები: მაგული. იზო. ნარი. მერაბი კორკელიები, დისშვილები ვეფა, ვალიკო. ეუეუნა ადამიები, პალიკო. ლევანერი გელენავები, ლუიზა შენგელია. ციალა ყონგერი, დოდო, ნარი ჩიკვატიები. სიძეები მირო ბუკია. ვალტერ კიკორია, დემურ უზარაშვილი, რევაზ კირტავა, შვილიშვილები: თეა. დენიზა. დემური. ირაკლი. ლია. ცოლისძმა კუკური, ცოლისდა მერი ხუფენიები, ქვისლი ორესტი ჭაფანძე იუწყებიან

ალექსანდრე (არველოდი) შაბანის ძე კორკელიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25, 26 ოქტომბერს. დაკრძალვა 27 ოქტომბერს მეორე ოტობაიაში (გალის რაიონი).

მეუღლე ქეთო, შვილები: ელისო. თორნიკე, ფრიდონი, ნონა, ძმები ლეონიდა, ზაური. დები ვარო. ეკატერინა. მარგო. ნანული. ნაირა. რეზეტა. დედა: ვერა. ბედიმა. დარეჯანი. შორენა. სიძეები: შალიკო ლუკავა, ვიტალი მესხი. დიდიკო აბულაძე. რაული ფულარია. ზურაბი არახამია. შვილიშვილები: ეკა. მაკა ფულარიები. ალეკა არახამია. ირაკლი ფაცაცია. ძმის შვილები: აბესალომი, ოთარი. ცირა. ლონდა. ალექსანდრე, დისშვილები: ინვერი, თენგიზი, ხატუნა, მზეფარა ჯგუშიები, ალბინა. ემა გვასალიები, ნატო. როზა. ბიძინა ლუკავები, ნოდარი, სვეტა, ზურაბი მესხიები. ინგა. ინდირა, ლელა აბულაძეები, ბიძია აბრამი ცქვიტიშვილი, დეიდები: ზინა. ქსენია. თამარა, იუწყებიან

მამანტი მაქსიმეს ძე ფაცაციას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26 ოქტომბერს. დაკრძალვა 27 ოქტომბერს ოქტომბერში.

შვილები: ნუგზარი. ჯემალი. დათინა. რძლები: აფროდიტა ფირცხალავა. მიმოზა ხარებავა. ნანა ყვანია. შვილიშვილები: გელა. ხათუნა. ზური. ნინო. საშა. ძმისშვილები: ნონა. გია. ვახტანგი, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე (საშა) პროფის ძე შელია.

პანაშვიდი 24. 25. 26 ოქტომბერს. დაკრძალვა 27 ოქტომბერს. გამოსვენება 16 საათზე, ქ. ზუგდიდი, ფირცელაძის 26.

მეუღლე რაბიდო. დედა ოლია. შვილები ნინო. ნანა. ნათია. რამინი. ძმა მამუკა. დები მიმოზა, ეკატერინა. დედამთილი ეუნა. მამიდები: ნინა, მარო როგავები, სიძეები ალიოშა მოლაშხია. ნუგზარ ხვიჩია. ვალიკო ფიფია, ვალოდია შიანოვი, მეულები: ქვათა. დინა. ლამარა ქოჩუები. დისშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მეული შვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ეთერ (ვენერა) პეტრეს ასულ როგავა-ქოჩუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25, 26 ოქტომბერს. დაკრძალვა 27 ოქტომბერს. გამოსვენება წერეთლის 1-ლი შესახვევი №6, 5 საათზე.

მეუღლე ბოჩია ასათიანი, შვილები ომარი, ვახტანგი, ნატრული. ნანი. რძლები თიაზი ჯოლია, ქეთინო ბეინავა, სიძეები ლერი ბუხნიკაშვილი, ნოდარ სურმავა, შვილიშვილები: ზაზა ასათიანი ბენო პაჭკორია, რუსიკო. იკა სურმაევები იუწყებიან

ლილი დომენტის ასულ გიორგბერიძე-ასათიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26 ოქტომბერს. დაკრძალვა 27 ოქტომბერს პირველ ხორგაში (ხობის რაიონი).

შვილები: ბოჩო, მამუკა. დები: ოლგა, ბუცა. ძმა რამე ცხონდია, რძლები: ნაზო, ლალი, ლიმო, თალიკო, ლია, დინარა, როზა. ლარისა. აზა. შვილიშვილები: მერაბი, მაიკო, მადონა, ბადიშები დემნა, თამუნია გუგუნიები, საღომე ბებია, ძმისშვილები: რადიონი. ეუეუ, რიუ, შოლია. რაისა, ლიანა, რობერტი, რაფიელ ცხონდიები. დისშვილები კუკური. ნუნუ. გურამი. დავითი შოთნიები. სიძეები: დავითი შამახია, კუკუშა შონია. გულადი ესებუა, დათო ბებია. მაკარა კიკორია. გულიკო ონიაშვილი, გივი შონია. შალვა ჯობავა, ბიძაშვილები. მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

გრაფი (ლინა) რაუდენის ასულ ცხონდია-გუგუჩიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25, 26 ოქტომბერს. დაკრძალვა 27 ოქტომბერს სოფელ კახათში.

ზუგდიდის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების თანამშრომლები და განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცაცხვის საშუალო სკოლის დირექტორი

სოგრატი დივანის ძე კუკავა.

და თანაგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80. რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000 შეკ. №4608